საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA

KA030106713702616

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05;
ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/91916 **19 / დეკემბერი / 2016 წ.**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
მოადგილეს ქალბატონ ხათუნ თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

თქვენი 2016 წლის 9 დეკემბრის №01/44391 წერილის პასუხად, რომელიც ეხება 23-26 დეკემბერს ისრაელის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის საქართველოში ვიზიტს, გაცნობებთ, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული ვიზიტის დროს განხილულ იქნას ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობა მაღალტექნოლოგიური სამედიცინო ინტერვენციების (ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია და სხვ) მიმართულებით, ასევე, მნიშვნელოვანია ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ქსელის მოწყობის თაობაზე და პირველადი ჯანდაცვის სისტემისა და სათემო სერვისების განვითარების საკითხებზე.

ამასთან, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი დაინტერესებულია, პარტნიორული თანამშრომლობის დამყარებით ისრაელის დაავადებათა კონტროლის ცენტრთან (The Israel Center for Disease Control) და ჰიბრუ უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სათემო მედიცინის სკოლასთან (The Hebrew University Hadassah Braun School of Public Health and Community Medicine) როგორც სასწავლო-პრაქტიკულ, ისე სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებზე. აღსანიშნავია, რომ მაშავის ცენტრის დაფინანსებით, რამდენიმე ქართველ ახალგაზრდას მიეცა ჰიბრუ უნივერსიტეტში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამაგისტრო კურსის გავლის შესაძლებლობა, რაც უაღრესად დასაფასებელია.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა „საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ“ შეთანხმების პროექტზე. შეთანხმების პროექტი ითარგმნა ინგლისურ ენაზე და შეთანხმების ფურცელთან ერთად, უახლოეს პერიოდში, წარდგენილ იქნება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, შემდგომი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელების მიზნით.

ამასთან, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში წარმოდგენილი იყო „ისრაელის სახელმწიფოსა და საქართველოს შორის სოციალური დაცვის შესახებ“ შეთანხმების პროექტი, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ვინაიდან, იგეგმება საქართველოში არსებული სოციალური საპენსიო სისტემის მოდიფიკაცია და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა,

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მსგავსი ტიპის ხელშეკრულებების განხილვა დაიგეგმოს ახალი საპენსიო სისტემის შემოღების შემდგომ.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე